როგორ ხდება კომუნალური და საკომუნიკაციო გადახდების გააქტიურება ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით?

- შედიხართ (შესაბამისი ID-ს და პაროლის შეყვანის შემდეგ) "ბაზისბანკი"-ს ინტერნეტ ბანკინგის გვერდზე.
- მარცხენა მხარეს არსებულ მენიუში ირჩევთ - ***„გადახდები"***
- ამის შემდეგ უთითებთ იმ ორგანიზაციას, რომლის მიმართულებითაც გნებავთ გადახდის განხორციელება.
- პროგრამა ავტომატურად გამოიტანს ეკრანზე ხელშეკრულებას, რომლის გაცნობის შემდეგ უნდა შეიყვანოთ თქვენთვის სასურველი 6 ნიშნა პინი, ხელმეორედ დაადასტუროდ პინი და თანხმობის შემთხვევაში დააჭიროთ ღილაკს ***„თანხმობა".***
- ყველა ამ მოქმედების (რეგისტრაციის გავლის) განხორციელების შემდეგ, თქვენ უკვე გაგიაქტიურდებათ კომუნალური და საკომუნიკაციო გადახდების ფუნქცია.
- სასურველი გადასახადის განსახორციელებლად ყურადღებით შეავსეთ შესაბამისი ველები, რომელსაც მოგთხოვთ პროგრამა.

რეკომენდაციები:

- აუცილებლად დაიმახსოვრეთ და არ გაანდოთ სხვას ინტერნეტ ბანკინგის პაროლი, მომხმარებლის საიდენტიფიკაციო კოდი და კომუნალური გადახდების საწარმოებლად თქვენს მიერ შერჩეული პინი. არ შეინახოთ ეს მონაცემები კომპიუტერში პაროლით დაუცველ ფაილში. შეეცადეთ ხშირად ცვალოთ პაროლი და პინი. პაროლისა და პინის შეცვლა შესაძლებელია თავად ინტერნეტ ბანკინგის პროგრამიდან.
- ინტერნეტ ბანკინგში მუშაობის დასრულების შემდეგ შეეცადეთ გამოხვიდეთ პროგრამიდან "Log out"-ის (გამოსვლის) ლინქზე დაჭერით.